PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი „იბერია"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ნანა შარაბიძე**

წევრი: **ირმა ღარიბაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 დეკემბრის №1408136 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ირმა ღარიბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ - კოლეჯის „იბერია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯის „იბერია“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით (პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „შედუღება“, განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაუმჯობესების გეგმა, დაწესებულების სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვ.), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით დაგეგმა და 30 დეკემბერს განახორციელა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულება იმატებს ახალ საგანმანათლებლო პროგრამას

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1. (1)

- დაწებულებამ დაწებულებამ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.04.22წ.) უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

ინდიკატორი 2.2.1. (5)

- მოდულის „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ „სასწავლო რესურსების“ პუნქტში მოდულის თემატიკის შესაბამისად დაკონკრეტდეს ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში

ინდიკატორი 2.2.1. (5)

- მოდული „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ უზრუნველყოფილ იქნეს თემატიკაში გაწერილი ქართულ ენაზე ნათარგმნი სასწავლო რესურსით - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები.

გაუმჯობესების რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ინდიკატორი 2.4.1. (3)

- მოდულების დამხმარე ჩანაწერებში გაწერილია სწავლა/სწავლების მეთოდები - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. სასურველია, დაკონკრეტდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი სწავლა/სწავლების მეთოდების მითითებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის N217 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1.საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შემდუღებლის პროფესია იმ პროფესიების ჩამონათვალშია, რომელთა დეფიციტს განიცდის ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელი საწარმოები და სამშენებლო ობიექტები. იმერეთს რეგიონში წლიდან წლამდე იზრდება ლითონის კონსტრუქციებისაგან შესრულებული შენობა-ნაგებობების და სარეკონსტრუქციო სამუშაოების რაოდენობა, რაც საჭიროებს კვალიფიციური შემდუღებლების მომსახურებას. დაწესებულების მხრიდან გამოიკითხა საწარმოებში დასაქმებული შემდუღებლები, რომელთა დიდი ნაწილი ,,თვითნასწავლია“ და მათ ნაწილს დოკუმენტაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევები არ გააჩნია, არ შეუძლია ნახაზის ან ესკიზის წაკითხვა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შემდუღებლების დეფიციტს შრომის ბაზარზე იწვევს ასევე ქალაქიდან კვალიფიციური შემდუღებლების გადინება, მათი საზღვარგარეთის ქვეყნებში დასაქმება. დამსაქმებელი ითხოვს სამუშაოს მაძიებლისგან კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ერიდებიან არაკვალიფიციური პირების დასაქმებას.

სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ გადაწყვეტილება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის №217 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საბაზო განათლება
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №19, 28.01.2020 წ). დაწესებულება პროგრამას განახორციელებს A, B და C გარემოში. სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით: A გარემო აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტის სივრცეში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით; B გარემო - კომპიუტერული ლაბორატორიაა აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. A და B გარემო არის სასწავლო სივრცე შენობის შიგნით. C გარემო - სპეციალური სასწავლო გარემოა შენობის შიგნით ან რეალურ სამუშაო გარემო საწარმოში. ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და მატერიალური რესურსის რაოდენობას. დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (მესამე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო ნაწილობრივ უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. ხოლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის №217 ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

7. საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგება“ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედეგება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს და სასწავლო გეგმებს. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები. ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, **საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის №217 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამტკიცების შესახებ.
- ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანება №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დაწესებულებამ წარმოადგინა „პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (მესამე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე.

ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული იყო, რომ A და C გარემო ერთი სივრცეა 95.45 კვ.მ. ფართობით. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მითითბით გარემო გაიყო ორ სივრცედ, გადაიტიხრა ცეცხლგამძლე საღებავით დამუშავებული კედლით. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განისაზღვრა შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო. ფართობი -35 კვ.მ. შენობა განთავსებულია კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ეზოში. გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა. სწავლა განხორციელდება პირველ ეტაპზე ერთ ცვლაში. შედგება 1 ჯგუფი. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო. ოთახი - 103. ფართობი - 36 კვ.მ. გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 15 პროფესიულ სტუდენტზე. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნული გარემო სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ გარემო გამოიყენება ორი სხვადასხვა პროგრამის განსახორციელებლად, ორ ცვლაში. კოლეჯს სულ აქვს 5 კომპიურეტული ოთახი. „პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

C გარემო - 55 კვ.მ. სივრცეში მოეწყობა ვენტილაციის ახალი სისტემა, რომელსაც შეუერთდება თვითოეული შედუღების დანადგართან დამონტაჟებული გამწოვები. დაწესებულებამ წარმოადგინა შედუღების სასწავლი-საპრაქტიკო სივრცის წერტილოვანი ვენტილაციის პროექტი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება ახალი ვენტილაციის სისტემის მონტაჟი. გარემოში იატაკი მოპირკეთებულია უწვი მასალით - კერამიკული ფილით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ (დამტკიცებული 2021 წლის 28 ოქტომბერს N220 ბრძანებით), სადაც გაწერილია ინფორმაცია C გარემოს მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 4 აპრილი. კოლეჯმა წარმოადგინა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც მოხდება გარკვეული რესურსის შეძენა-გადაცემა. წარმოდგენილია გარკვეული რესურსის მიღება-ჩაბარევის აქტები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული პროგრამის ფარგლებში 3 კომპანიასთან. ინტერვიურება წარიმართა კოლეჯისა და კომპანიების წარმომადგენლებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:

გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.04.22წ.) დაწებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 8. მათ შორის - 2 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია მინიმუმ 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებელი. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დაწესებულების უფლებამოსილი პირი ახდენს მოდულების განმახორციელებელ პირთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად. განაწილებისას გათვალისწინებულია მათი რეალური შესაძლებლობები/კომპეტენციები, რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. „შესაბამისობის გეგმაში“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება და და ტრენინგების საკითხები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგება“ დამატების მიზნით განაცხადის დანართის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და ინტერვიურებით. დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან განხორციელდა ინტერვიურება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ინტერვიურებისას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოიძიოს „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ მოდულის თემატიკაში განსაზღვრული სასწავლო რესურსი - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების ქართული ვერსიები.

აღსანიშნავია, რომ „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ მოდულის თემატიკა მოიცავს ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესწავლას. მიზანშეწონილია, მოდულის „სასწავლო რესურსების“ პუნქტში მიეთითოს ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში.

ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. გარემოში განთავსებულია 2 კომპიუტერი, სამკითხვლო მაგიდები, პრონტერი. კომპიუტერებში აიტვირთება ყველა ელექტრონული სასწავლო რესურსი და პროფესიული სტუდენტს თავისუფალი წვდომა ექნება მათზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

<u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:</u>

მოდულის „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ „სასწავლო რესურსების“ პუნქტში მოდულის თემატიკის შესაბამისად დაკონკრეტდეს ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მოდული „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ უზრუნველყოფილ იქნეს თემატიკაში გაწერილი ქართულ ენაზე ნათარგმნი სასწავლო რესურსით - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები.

6. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N 47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9-ით.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 22 734 ათასი ლარი და ხარჯების ნაწილ ში - 22 743 ათასი ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება - 8 910 ათასი ლარი, ადმინისტრირების ხელფასი - 9 533 ათასი ლარი, მასალა - 1 859 ათასი ლარი, სხვადასხვა - 2 432 ათასი ლარი.
პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანება №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“.
- მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანება „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანება „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.
- დაწესებულების ვებგვერდი http://iberia.edu.ge/
- შესაბამისობის გეგმა.
- დირექტორის 2021 წლის 28 ოქტომბრის N220 ბრძანება „შედუღების პროგრეამის გაუმჯობესების გეგმა“,
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- დისტანციური ჩართვის დროს ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. კერძოდ:

- პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.
- ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნელყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
- პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილიწერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.
- მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის მინიჭებისთვის „შედუღების“ პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად - 38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

კრედიტი, 9 პროფესიული მოდული - 32 კრედიტის მოცულობით, 2 ზოგადი მოდული - 6 კრედიტის მოცულობით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის - 53 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 40 კვირა, 10 სასწავლო თვე. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის - 38 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა, 7 სასწავლო თვე.

მოდულებს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლი 09 ივლისის N133 ბრძანებით შემუშავებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს.

პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.„შედეგების“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია. პროგრამისთვის დაწესებულებას ნაწილობრივ შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ნაწილობრივ ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მოახდენს პროგრამის განხორციელებისთვის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეძენას და სასწავლო გარემოს აღჭურვას.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

<u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა გაუმჯობესების რეკომენდაცია:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მოდულების დამხმარე ჩანაწერებში გაწერილია სწავლა/სწავლების მეთოდები - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. სასურველია, დაკონკრეტდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი სწავლა/სწავლების მეთოდების მითითებით.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი აქვს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ.
კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N133 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან:

- შპს „ანი“.
- შპს „არტი“.
- შპს „ჯითი დიზაინ მეტალი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Erase Free

კომპანიები ვალდებულებას იღებენ სტაჟირება გაატარონ 5 კურსდამთავრებულს, მონაწილეობა მიიღონ აპლიკანტთა შესარჩევ სამოტივაციო გასაუბრებაში, დაამყარონ მუდმივი კომუნიკაცია სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის. მემორანდუმის მოქმედების ვადად განსაზღვრულია - 6 წელი. მემორანდუმების გაფორმების ვადაა 2021 წლის 18 დეკემბერი. უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პროფესიულ სტუდენტთა საწარმოებში ვიზიტის პროცესში.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

7. დაწესებულებამ წარმოადგინა უსაფრთხოების წესები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტობრის N216 ბრძანებით დამტკიცებულია „შედუღების“ პროგრამის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებები, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოების წარმართვის პროცესში, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციების დროს და შრომის უსაფრთხოების საკითხები სამუშაოს დასრულების შემდგომ. გამომდინარე იქიდან, რომ C გარემო ჯერ არ არის აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, უსაფრთხოების საკითხები სპეციფიკის გათვალისწინებით ვერ შეფასდა. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დამონტაჟებისთანავე გამოაკრავენ უსაფრთხოების სპეციალურ წესებს და ინსტრუქციებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო გეგმა.
- დირექტორის 2021 წლის 29 ოქტობრის N216 ბრძანებით დამტკიცებული „შედუღების“ პროგრამის „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“.
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი (დირექტორის ბრძანება №137, 17.07.2020 წ.).
- მემორანდუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

➢ ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N133 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის **ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;**

შეფასების სისტემა **ვალიდურია,** რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი **რელევანტურია** იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასების სისტემა **სანდოა,** რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა **სამართლიანია**, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები), რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის **ობიექტურობას**.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N133 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ამოწმებს არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური; ვერიფიკაცია წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/შესრულების მტკიცებულების ავთენტურობის აღიარებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან თავსებადობა-შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველი ეტაპი იწყება არაუგვიანეს მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და სრულდება პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურამდე. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“. ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე ხორციელდება შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, ხოლო მესამე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერთან წარმოადგენს დასკვნის სახით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. კოლეჯის ადმინისტრაციასთან ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში; პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

4. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N133 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

17.01.2022წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---